

პენალტიც, “ავტოგოლიც”

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 6 ოქტომბერი.

ცსკა - “დინამო” (თბილისი) 3:2 (1:0).

ცსკა: პშენიჩნიკოვი, აფონინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ბაგრიჩი, უტკინი (ისტომინი), პლახეტკო, ადამოვი, ფედოტოვი, პოლიკარპოვი, ჟიგუნოვი (მასლიაევი).

“დინამო”: ურუშაძე, მოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი (კუტივაძე), მეტრეველი, გავაშელი, მესხი.

მსაჯი ვ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები - 1:0 ცსკა-ს სასარგებლოდ.

ძველი მეტოქეები - მოსკოვის არმიელები და თბილისის დინამოელები კვლავ “ბეწვის ხიდზე” შეხვდნენ ერთმანეთს. გათამაშება დასასრულს უახლოვდება, ყოველი ქულა ოქროს ფასად ფასობს, ეს ორი გუნდი კი ერთმანეთის მჭიდრო მახლობლობაში იმყოფება ლიდერთა ჯგუფში. რასაკვირველია, ეს გარემოება განსაკუთრებულ სიმწვავეს მატებდა მატჩს.

შეხვედრის დასაწყისი თანაბარი იყო. ორივე გუნდი ენერგიულად იბრძოდა მიწვერის შუაგულის დასაპყრობად და აქცენტს ნახევარმცველთა აქტივობაზე აკეთებდა. თანდათან გამოირკვა, რომ ცსკა ამ ზონაში უფრო ძლიერი იყო, მეტ სამუშაოს ასრულებდა და ამიტომაც იყო, რომ საერთო ინიციატივის მოპოვება შეძლო.

მართალია, ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ იგი არ იყო ისე შესამჩნევი, რომ თბილისელები ერთი ბურთის პასივით წასულიყვნენ შესვენებაზე. პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა პლახეტკო ბურთიანად აღმოჩნდა “დინამოს” საჯარიმო მოედანზე. მან მოულოდნელად დაარტყა, ურუშაძე არ იყო მზად ბურთის ასაღებად და გაუშვა გოლი.

სტუმრების ტაქტიკური გადაწყვეტილება შესვენების შემდეგ ცხადი იყო: შეტევა, მხოლოდ შეტევა! თითქმის მთელი გუნდი იერიშზე იყო გადასული და ამ თამამ მანევრს მალე სასურველი შედეგიც მოჰყვა: ბურთი გაიტანა გავაშელმა - 1:1.

ბრძოლა ახალი ძალით, ახალი სიმძაფრით გაჩაღდა. დინამოელები განაგრძობდნენ დაწოლას, მაგრამ ცსკა კარგი ურთიერთმოქმედებით იცავდა თავს და თითოეულ მცირე შესაძლებლობასაც მაქსიმალურად იყენებდა კონტრშეტევისთვის. გუნდის ერთ-ერთი ასეთი სწრაფი გარღვევა დამთავრდა იმით, რომ პოლიკარპოვს შეებრძოლა ორი მცველი. მათგან ერთ-ერთმა, კერძოდ, მოძუაშვილმა, წაართვა ფორვარდს ბურთი და ამ მომენტში კარიდან წინ გამოსულ ურუშაძეს მიაწოდა იგი. გოლის ხსნა აღარავის შეეძლო - 1:2.

“ავტოგოლს” მოჰყვა ახალი უსიამოვნება “დინამოს” კართან. გარღვევაზე მყოფი ჟიგუნოვი საკუთარ საჯარიმო მოედანზე წააქცია მოძუაშვილმა. პენალტი ზუსტად შეასრულა პოლიკარპოვმა - 3:1.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ თბილისელებს არ დაუკარგავთ იმედი. მათი თავდამსხმელები კვლავ შეუსვენებლივ იბრძოდნენ ანგარიშის შესაცვლელად და ეს შეძლო მეტრეველმა, რომელმაც თავისი სოლური გარღვევა მეორე საპასუხო გოლით დაამთავრა.

დარჩენილ დროში იმავე მეტრეველს და გავაშელს ჰქონდათ შესაძლებლობა ეხსნათ ქულა, მაგრამ მათი საბოლოო დარტყმები კარს აცდა.

ვ. პავლოვი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 8 ოქტომბერი, 1968.